

ანანო სამსონაძე

ასოცირებული პროფესორი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ქორეოგრაფი. 1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1992 წელს დაამთავრა ქორეოგრაფიის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის ქართული ხალხური ცეკვების ფაკულტეტი. 1997 წელს დაამთავრა ექვთიმე თაყაიშვილის სახ. თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქორეოლოგიის სპეციალობით. 2006 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე `ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლის ძირითადი მიმართულებები~. მას მიენიჭა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1989_1999 წლებში მუშაობდა საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის ქორეოგრაფიულ ანსამბლ `როკვაში~ მოცეკვავე მსახიობად. სადადგმო პრაქტიკას ეწევა 1995 წლიდან სხვადასხვა საბავშვო ვოკალურ-ქორეოგრაფიულ სტუდიებში. ამჟამად, მუშაობს ნოდარ დუმბაძის სახ. ცენტრალურ საბავშვო თეატრში დამდგმელ ქორეოგრაფად (აქვს გაფორმებული თხუთმეტამდე დრამატული და მუსიკალური სპექტაკლი).

სამეცნიერო საქმიანობას ეწევა 1994 წლიდან კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიაში. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში. აქვს რამდენიმე თემატური საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაცია.

კითხულობს ლექციებს დისციპლინებში: `ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია~, `ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორია და კრიტიკა~, `ქართული საცეკვაო ფოლკლორი და ეთნო-ქორეოლოგია~, `ცეკვის დრამატურგია~.